# ქართველი სპორტსმენები საფრანგეთში

გრძელდება საქართველოს კალათბურთელთა ტურნე საფრანგეთში. ფრანგული პრესა აღფრთოვანებულია დინამოელთა ლამაზი და ტექნიკური თამაშით. გაზეთები უხვად ბეჭდავენ შეჯიბრების ამსახველ ფოტოებს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ფრანგ მაყურებელთა შორის თბილისის „დინამოს" კაპიტანი ა. კილაძე, რომელმაც თავი ისახელა ორ უკანასკნელ შეხვედრაში, როგორც ყველაზე შედეგიანმა და ტექნიკურმა სპორტსმენმა.

მეორე მატჩი „დინამომ" ჩაატარა ზედა რეინის დეპარტამენტის ქალაქ მიულუზენში ადგილობრივი ნაკრების წინააღმდეგ და მოიგო იგი — 94:59.

შემდეგ დინამოელები ეწვივნენ ქალაქ ვილერბანს. აქ მათ დაამარცხეს „ასველის" გუნდი — 83:53 (44:29). მაყურებლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს დინამოელთა ხუთეულს (კილაძე მინაშვილი, უგრეხელიძე, ლეჟავა, მოსეშვილი).

თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა კოლექტივმა თავისი პირველი მატჩი მონდიუსონში (ალეს დეპარტამენტი) გამართა ადგილობრივი ნაკრების წინააღმდეგ. შეხვედრა დამთავრდა ქართველი კალათბურთელების გამარჯვებით — 48:30.

# ხვალ სტარტია

ბაკურიანი. (ტელეფონით). აქ კოხტაგორას მიდამოებში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა სლალომსა და გიგანტურ სლალომში. შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდნენ, აგრეთვე „სპარტაკის", „კოლმეურნეს", საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა და „ტრუდის" მოთხილამურენი. ქალთა სლალომში უძლიერესნი იყვნენ გ. ვოლკოვა და ე. კაბინა. აქ მესამე შედეგი ჰქონდა ბაკურიანელ ლ. გოგოლაძეს. ვაჟთა შორის სპორტის ეს სახეობა მოიგო ი. მაკოევმა. ი. ჯანგობეგოვი გამოვიდა მესამე ადგილზე.

გიგანტურ სლალომში ქალთა შორის ყველაზე კარგი შედეგი — 2.30,0 აჩვენა არმიელმა ს. კორზუხინამ, ხოლო ვაჟებში უძლიერესი აღმოჩნდა მისი თანაგუნდელი ვ. ტალიანოვი — 1.45,2 წამი.

ეს იყო ძალების უკანასკნელი შემოწმება საბჭოთა კავშირის უძლიერეს სამთო მოთხილამურეთა შეჯიბრების წინ, რომელიც ხვალ იწყება ბაკურიანში.

# „ბიშლეტის" სტადიონზე

ოსლოში გაიმართა ნორვეგიისა და მოსკოვის მოციგურეთა საமატჩო შეხვედრა, რომელიც აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების აშკარა გამარჯვებით. მათ პირველობა მოიპოვეს სამ დისტანციასა და მრავალჭიდში. 500 მეტრზე უძლიერესი იყო ე. გრიშინი, რომელმაც აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 42,1 წამი. 1.500 მ რბენა მოიგო ნორვეგიელმა ნ. ონესმა—2.16,9 წ. ორივე სტაიერულ დისტანციაზე გამარჯვებული გამოვიდა ვ. კოსიჩკინი. მან 5000 და 10.000 მეტრზე მეორე ადგილზე გამოსულ თანაგუნდელ ო. გონჩარენკოს შესაბამისად მოუგო 9,3 წამით და 9,2 წამით (კოსიჩკინმა 5000 მ აჩვენა 8.06,1 და 10.000 მ — 16.58,7 წ.).

მრავალჭიდში პირველობა გაიტანა ვ. კოსიჩკინმა, რომელმაც 190.345 ქულა მოაგროვა. მეორე იყო რ. მერკულოვი — 192.230 ქ, მესამე — ნორვეგიელი ქ. იუჰანსენი — 192.450 ქ.

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1961 წლის 10 იანვარს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი, XXII ყრილობის მოწვევის შესახებ.

2. 1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის ყამირის მხარის სამხარეო კომიტეტის, ბელორუსიის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთისა და ესტონეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მოხსენებანი.

3. მოხსენება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომ სკკპ მორიგი, XXII ყრილობა მოწვეულ იქნას 1961 წლის 17 ოქტომბერს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 6 (1642) ხუთშაბათი, 12 იანვარი, 1961 წ. გამოცემის მე-17 წელი. ფასი 3 კაპ.



ბაკურიანში სათხილამურო სეზონი გაცხოველდა.

სურათზე: ახე გამოიყურება ამ შესანიშნავი ზამთრის კურორტის პარკის ტერიტორია.

ფოტო გ. თიკანაძისა.

# XXVIII საკავშირო

მოსკოვი. (ტელეფონით). 11 იანვარს, გუშინ აქ ნაზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც ამავე დროს მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირსაც წარმოადგენს. აქ გამარჯვებული 4 სპორტსმენი მოიპოვებს საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებას.

საკავშირო ჩემპიონატზე დაშვებულია 20 მოჭადრაკე — 10 გროსმაისტერი და ამდენივე ოსტატი, რომლებიც კენჭისყრის შედეგად სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. ე. გუფელდი (ჩერკასი), 2. ი. ავერბახი (მოსკოვი), 3. დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), 4. ა. ხასინი (მოსკოვი), 5. ბ. სპასკი (ლენინგრადი), 6. ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), 7. მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), 8. გ. ბორისენკო (სვერდლოვსკი), 9. ვ. ტარასოვი (ომსკი), 10. ვ. სიმაგინი (მოსკოვი), 11. ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), 12. ა. ლუტიკოვი (ნოვოსიბირსკი), 13. ა. ბანიკი (კიევი), 14. ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), 15. ლ. შტეინი (ლვოვი), 16. ვ. სმისლოვი (მოსკოვი), 17 ა.. ჩერეპკოვი (ლენინგრადი), 18. ე. გელერი (ოდესა), 19. ს. ფურმანი (ლენინგრადი), 20. ი. ბოლესლავსკი (მინსკი).

გუშინ გაიმართა პირველი ტური.

# ჯ. ცერცვაძის 4 გოლი

ხელბურთში (7X7) მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის, რომელიც 5 იანვარს იყო დანიშნული, არ შედგა რუმინელთა ჩამოუსვლელობის გამო. შეხვედრა გაიმართა 9 იანვარს. საბჭოთა სპორტსმენებმა (შებალკინი, კოსმინინი, ლებედევი, ზაიცევი, ივახინი, ცერცვაძე, მოროზოვი, კობზარი, ეფრემოვი) პირველი ოფიციალური მატჩი საზღვარგარეთელ ოსტატებთან ჩაატარეს მაღალ დონეზე.

შეხვედრა დაიწყო რუმინელთა იერიშებით და პირველი ბურთიც გაიტანეს მე-7 წუთზე (ბ. ოვანესკუ), მაგრამ მალე ა. ივახინმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1. ამ შეხვედრაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი ჯ. ცერცვაძე, რომელიც საბჭოთა ნაკრების ყველა იერიშების არა მარტო ორგანიზატორი იყო, არამედ ხშირად თვითონვე წარმატებით აგვირგვინებდა შეტევებს. მე-12 წუთზე მან უძლიერესი ტყორცნით წინ გაიყვანა საბჭოთა გუნდი, ხოლო მალე მის მიერ წამოწყებული კომბინაცია კობზარმა კარის აღებით დაამთავრა — 3:1.

შესვენებამდე რუმინელებმა არა მარტო შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, არამედ მათ ხუთი გოლი გაიტანეს, რასაც ჯ. ცერცვაძემ ორით უპასუხა. 6:5 რუმინელთა სასარგებლოდ. ამ ანგარიშით წავიდნენ გუნდები შესვენებაზე.

მატჩის განახლების შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა სტუმრების კარში გაიტანა მეექვსე გოლი (ისევ ცერცვაძემ), მაგრამ რუმინელები კვლავ წინ გავიდნენ. დარჩენილ დროში ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მთლიანად ხელთ იგდო ინიციატივა და პირველი მატჩი მსოფლიო პირველობაზე მოიგო ანგარიშით 12:9.

საბჭოთა სპორტსმენები მეორე შეხვედრას რუმინელ ხელბურთელებთან გამართავენ 15 იანვარს ბუქარესტში. ფაქტიურად ამ შეხვედრის შედეგი გამოავლენს გამარჯვებულს, რომელიც შეინარჩუნებს ოქროს მედლებისათვის ბრძოლის უფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ ა თ უ მ ი

## ფ რ ე ნ ბ უ რ თ ი

ბათუმში, ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა ფრენბურთში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სტალინირის, რუსთავის, გორის, ხაშურის, წყალტუბოს, დმანისისა და სხვა რაიონების ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები — სულ 13 კოლექტივი. საინტერესოდ მიმდინარეობდა ასპარეზობა ჭაბუკთა შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავისა და სტალინირის ფრენბურთელები. მესამე გადამწყვეტ პარტიაში გაიმარჯვეს სტალინირელებმა.

გოგონათა გუნდებს შორის ბრძოლა პირველი ადგილისათვის წარიმართა წყალტუბოს, დმანისის, ზესტაფონისა და გორის ფრენბურთელთა გუნდებს შორის. წყალტუბოს სპორტსმენებმა ნახევარფინალში დაამარცხეს ზესტაფონელები ანგარიშით — 2:0. დაძაბულად მიმდინარეობდა მეორე ნახევარფინალური მატჩი დმანისისა და გორის კოლექტივებს შორის. მესამე პარტიაში ანგარიშით — 15:12 გაიმარჯვეს გორელებმა.

ფინალური შეხვედრა წყალტუბოსა და გორის ნორჩ ფრენბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა გორელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.



სურათზე: ბათუმის ჩოგბურთის კორტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ნ ი ჩ ბ ო ს ნ ო ბ ა

ბათუმში, ლენინის სახელობის პიონერთა პარკის ტბაზე მოეწყო ნიჩბოსანთა შეჯიბრება. ვაჟთა შორის 500 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარებით რბოლაში პირველ ადგილზე გამოვიდა მ. ლომთათიძე. ქალთა შორის ამავე სახეობაში გაიმარჯვა ლ. მოსბერგმა.

500 მეტრზე ორადგილიანი ბაიდარებით რბოლაში პირველ ადგილზე როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის გამოვიდნენ გემთშემკეთებელი ქარხნის წარმომადგენლები. 100 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარებით რბოლაში ფინიშზე პირველი იყო დინამოელი ვ. ივანოვი, ამავე დისტანციაზე ერთადგილიანი კანოებით ასპარეზობაში გაიმარჯვა ვ. ვლასენკომ.

# ბ ა თ უ მ ი

## მ ძ ლ ე ო ს ნ ო ბ ა

„დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნები. ბირთვის კვრაში და ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ლ. ტუღუში, რომელმაც შესაბამისად აჩვენა შედეგები — 12 მ 84 სმ და 50 მ 70 სმ.

100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა „დინამოს" № 1 სპორტული კოლექტივის წევრმა მ. ჯაყელმა შედეგით — 11,4 წამი. სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის პირველი იყო გ. ბოხუა (სამრეწველო კომბინატი), ხოლო ქალთა შორის ა. თოთიბაძე, შუბის ტყორცნაში ქალთა შორის მეორე თანრიგის ნორმატივი — (38 მ 40 სმ) აჩვენა ს. ლევიცკაიამ (რკინიგზის კვანძი). გუნდურ ჩათვლაში პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის გაიმარჯვეს „დინამოს" № 1 სპორტული კოლექტივის სპორტსმენებმა, მეორე ჯგუფში უძლიერესნი აღმოჩნდნენ რკინიგზის კვანძის სპორტსმენები.

ი. კუსიდი

# საქართველოს სპარტაკიადა 40 საიუბილეო

ვ. სამსონაძე,

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

მას შემდეგ, რაც საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, ხალხის კეთილდღეობის საერთო ზრდასთან ერთად დღითიდღე იზრდება და ვითარდება მეცნიერება და კულტურა, მოსახლეობის ფართო ფენებში სულ უფრო იკიდებს ფეხს ფიზიკური კულტურა და სპორტი.

თუ რევოლუციამდე საქართველოში ძირითადად კულტივირებული იყო ეროვნული სახეობანი და რამდენიმე კლასიკური სახეობა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დაადგა პროგრესის გზას და ამჟამად რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში კულტივირებულია სპორტის დაახლოვებით 50 სახეობა.

საბჭოთა საქართველომ მიიღო სპორტის ხალხურ-ეროვნულ სახეობათა მდიდარი მემკვიდრეობა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, მათ გამოწრთობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უძველესი დროიდან. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებაზე, ეს შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა მრავალათასიანი არმია სხვა დანარჩენ მშრომელებთან ერთად ღირსეულად ხვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავს.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მოაწყოს საიუბილეო სპარტაკიადა 40 სახეობაში, რომელიც მიძღვნილია ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. საიუბილეო სპარტაკიადა იქნება ყველაზე მასობრივი სპორტული ღონისძიება საქართველოში სპორტის არსებობის მანძილზე და წინასწარი მონაცემებით მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს 500 ათასზე მეტმა სპორტსმენმა.

საიუბილეო სპარტაკიადა ჩატარდება 4 ეტაპად. I ეტაპზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფიზკულტურის კოლექტივების სპორტსმენები იმ სახეობებში, რომლებიც კულტივირებულია კოლექტივებში. II ეტაპზე ქალაქებში მიმდინარეობდა შეჯიბრება ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა პირველობებზე, ხოლო, სოფლებში—რაიონების პირველობებზე კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, სასკოლო და სხვა ორგანიზაციების შეჯიბრებებში გამარჯვებულ გუნდებს შორის. III ეტაპზე შეჯიბრება წარმოებს: ქალაქებში — სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა შეჯიბრებებში გამარჯვებულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის 25 სახეობაში და პირადი შეჯიბრებები სპორტის ყველაზე რთულ 15 სახეობაში, აგრეთვე შეჯიბრება სასკოლო კოლექტივებს შორის 14 სახეობაში. სასოფლო რაიონებში მიმდინარეობს ზონალური შეჯიბრებები რაიონებში გამარჯვებულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის 11 სახეობაში.

საიუბილეო სპარტაკიადის ფინალი ზამთრის სახეობებში გაიმართება 1961 წლის იანვარში, ხოლო დანარჩენ 25 სახეობაში — მარტ-აპრილში რესპუბლიკის 13 ქალაქსა და სარაიონო ცენტრში საქალაქო შეჯიბრებებში გამარჯვებული მსხვილი ფიზკულტურული კოლექტივებისათვის; სპორტის 15 სახეობაში—საშუალო ფიზკულტურული კოლექტივებისათვის, რომლებმაც გაიმარჯვეს შესაბამის საქალაქო შეჯიბრებებში; სპორტის 14 სახეობაში — საქალაქო სასკოლო შეჯიბრებებში გამარჯვებული ფიზკულტურულ კოლექტივებისათვის; სპორტის ყველაზე რთულ 15 სახეობაში ქალაქების ნაკრებ გუნდებს შორის და სპორტის 11 სახეობაში ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული სოფლის ფიზკულტურული კოლექტივებისათვის სპორტის სახეობათა მიხედვით.

როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, საიუბილეო სპარტაკიადის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ყველა ეტაპზე, ფინალის ჩათვლით, მასში მონაწილეობენ არა ნაკრები გუნდები, როგორც ეს იყო უწინ, არამედ ფიზკულტურის კოლექტივები, რაც ქმნის განსაკუთრებულ სიმწვავეს და დაინტერესებას უშუალოდ წარმოება-დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის, კომკავშირული პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მხრივ.

სპარტაკიადის ფინალური ნაწილი მიმდინარეობს თამაშების სახით სპორტის სახეობებში, სადაც ქალაქებისა და ზონებიდან მონაწილეობენ არა კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებული ფიზკულტურული კოლექტივები, არამედ გამარჯვებულები სპორტის სახეობათა მიხედვით, რაც იძლევა შეჯიბრების ფინალურ ნაწილში უძლიერესი კოლექტივების მონაწილეობის გარანტიას სპორტის სახეობათა მიხედვით.

ამრიგად, სპარტაკიადის ფინალურ ნაწილში ქალაქებიდან მონაწილეობას მიიღებს იმდენი კოლექტივი, რამდენი გამარჯვებულიც იქნება სპორტის სახეობათა მიხედვით, თანაც დამოუკიდებლად — როგორც მსხვილი ისე, საშუალო ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. გარდა ამისა, თვითეულ საშუალო კოლექტივს შეუძლია სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, რომელშიც იგი მონაწილეობს, იბრძოლოს აბსოლუტური პირველი ადგილისათვის, ვინაიდან შეჯიბრების პროგრამა როგორც მსხვილი, ისე საშუალო კოლექტივებისათვის სპორტის სახეობათა მიხედვით ერთნაირია.

საიუბილეო სპარტაკიადის მეორე არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი ფინალური ნაწილი, ჩატარდება არა ერთ ადგილას, როგორც იყო ეს უწინ, არამედ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში. ამის შედეგად, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დიდი უმრავლესობა იუბილეს დღეებში მაქსიმალურად ჩაებმება სპორტულ ზეიმში, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას რესპუბლიკაში.

საიუბილეო სპარტაკიადის მესამე თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ რესპუბლიკაში პირველად იმართება შეჯიბრება განცალკევებით ყველა ქალაქისა და სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, რაც თანაბარ პირობებს უქმნის სპარტაკიადაში მონაწილე კოლექტივებს. ინტერსმოკლებული არაა აგრეთვე აღვნიშნოთ ისიც, რომ პირველად სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ერთმანეთს ხვდებიან რესპუბლიკის ყველა ქალაქი თანაბარ პირობებში, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ქ. თბილისი, რომელიც ყველა ჯგუფში გამოდის 2-3 ფიზკულტურული კოლექტივით. კომპლექსური ჩათვლა ქალაქებს შორის წარმოებს 4 მაჩვენებლის მიხედვით, სახელდობრ: ფიზკულტურულ კოლექტივების მიერ დაკავებული ადგილები მსხვილ კოლექტივებს შორის, საშუალო კოლექტივებს შორის, სასკოლო კოლექტივებს შორის და ნაკრებ კოლექტივებს შორის სპორტის ყველაზე რთულ სახეობებში. დებულების ეს პუნქტი სტიმულს აძლევს ქალაქებს ერთნაირად ნაყოფიერად აწარმოონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მას ყველა რგოლში.

საიუბილეო სპარტაკიადის მე-4, ყველაზე არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ რესპუბლიკის თვითეული ქალაქი, თვითეული რაიონი არ იზღუდება სპორტის განსაზღვრული სახეობებით და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროგრამის ყველა სახეობაში, რომლებიც კულტივირებულია აღნიშნულ ქალაქსა და რაიონში. უწინ ამის შესაძლებლობა არ არსებობდა და იმ სახეობებში, რომლებიც არ იყო ჩართული სპარტაკიადის პროგრამაში, მუშაობა კი არ ფართოვდებოდა, არამედ იზღუდებოდა, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებდა სპორტის მთელ რიგ სახეობათა შემდგომ განვითარებაზე. ამჟამად, როცა საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია რესპუბლიკაში კულტივირებული თითქმის ყველა სახეობა, ამ დიდი შეჯიბრების გარეშე არ დარჩება არც ერთი სპორტსმენი.

ვინაიდან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს გააჩნიათ უკეთესი შესაძლებლობანი, ვიდრე საწარმოო ფიზკულტურულ კოლექტივებს, სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებულია შემდეგი პუნქტი: იმ მიზნით, რომ თბილისის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა ფიზკულტურულმა კოლექტივმა არ გამოთიშონ საწარმოო კოლექტივები, სპარტაკიადის ფინალურ ნაწილში უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები დაიშვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სპორტის ცალკეულ სახეობებში თბილისის პირველობაზე პირველ ჯგუფში დაიკავებენ პირველ ადგილს. ეს მდგომარეობა ერთის მხრივ ავალდებულებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა კოლექტივებს მაქსიმალური შესაძლებლობით მიიღონ მონაწილეობა ქალაქის პირველობებზე, ხოლო მეორეს მხრივ სტიმულს აძლევს საწარმოო კოლექტივებს, რომლებსაც საშუალება აქვთ იბრძოლონ თუ პირველი ადგილისათვის არა, მეორე ადგილისათვის მაინც.

საიუბილეო სპარტაკიადის დებულება სტიმულს აძლევს აგრეთვე სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივებსაც, ვინაიდან შეჯიბრებები სპორტის სახეობებში მიმდინარეობს საქალაქო კოლექტივებისაგან განცალკევებით, რაც მათ საშუალებას აძლევს იბრძოლონ პირველი ადგილებისათვის.

მაგრამ სპარტაკიადას აქვს ჩრდილოვანი მხარეებიც, მაგალითად, სპარტაკიადის ფინალურ ნაწილში მონაწილეობას მიიღებს არა რესპუბლიკის ყველა უძლიერესი სპორტსმენი, არამედ მხოლოდ იმ კოლექტივების სპორტსმენები, რომლებმაც მოიპოვეს სპარტაკიადის ფინალურ ნაწილში მონაწილეობის უფლება, თუმცა ეს სასარგებლო ღონისძიებაცაა, ვინაიდან თვითეული სპორტსმენი მაქსიმალურად შეეცდება იბრძოლოს, რათა მისი კოლექტივი გავიდეს სპარტაკიადის ფინალურ ნაწილში.

საიუბილეო სპარტაკიადის პირველი 3 ეტაპის ასპარეზობამ ცხადყო, რომ შეჯიბრებები ადგილებზე არნახული მასშტაბით გაიშალა.

რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყველა ღონეს უნდა მიმართონ, რათა წარმატებით დამთავრდეს სპარტაკიადის მე-3 ეტაპი, გამოვლინდნენ უძლიერესი კოლექტივები სხვადასხვა ჯგუფებში და მაღალ დონეზე ჩატარდეს სპარტაკიადის ფინალური ნაწილი.

საქართველოს სსრ საიუბილეო სპარტაკიადა უაღრესად ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში. მან უნდა შეაჯამოს მთელი ჩვენი მუშაობა ამ დარგში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთ-ერთ „რვაათასოვანზე“

ამას წინათ საკავშირო სახელმწიფო გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ მოსკოვში გამოსცა ჰერბერტ ტიხის „ჩო-ოიუ ღმერთთა წყალობა“. ეს საინტერესო წიგნი მოგვითხრობს ავსტრიელი მეცნიერისა და ალპინისტის ჰერბერტ ტიხის განუმეორებელ ლაშქრობაზე მსოფლიოს ერთ-ერთ „რვაათასოვან“ მწვერვალზე — ჩო-ოიუზე, რომელიც მისი ექსპედიციის მიერ დაპყრობილ იქნა 1954 წელს.

ჰ. ტიხი ჯერ კიდევ ადრე შეუდგა ჰიმალაის შესწავლა-დაზვერვას, ხოლო იდეა, რომ მას შეეძლო თამამად განეხორციელებინა მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის შტურმი, მას ჩაესახა 1953 წელს, როდესაც ის ხუთ შერპთან ერთად იმყოფებოდა დასავლეთ ნეპალში. და აი, გავიდა ერთი წელი და სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ერთი მდიდარი ავსტრიელის ფინანსური დახმარების შედეგად შესაძლებელი გახდა ამ იდეისათვის ხორცშესხმა. ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სამი ავსტრიელი — ჰ. ტიხი, ს. იოხლერი, ჰ. ხეიბერგერი და შვიდი შერპი, ჩო-ოიუს დასალაშქრავად დაიძრა. ამ ექსპედიციას აგვიწერს სწორედ წიგნი „ჩო-ოიუ—ღმერთთა წყალობა“, რომელიც თანმიმდევრულად მოგვითხრობს მთამსვლელთა მიერ ბირგანჯიდან მწვერვალამდე განვლილი გზის, ხიფათების, უამრავ განსაცდელთა მამაცური დაძლევის შესახებ. წიგნის ფურცლებზე ცოცხლდება ჰიმალაის ფერდობებზე ამოვარდნილი მძლავრი ქარიშხლის სურათები, აუტანელ ყინვებსა და ზვავთა ცვენის პირობებში მთამსვლელთა დაჟინებული სწრაფვა — „მაღლა და მაღლა!“ — გრძნობა, რომელიც მანქანებად აქცევდა მთებთან შეჭიდებულ ადამიანებს და დაჟინებით მიჰყავდა წინ, მაღლა, დაუპყრობელი მწვერვალისაკენ. და ბოლოს ჩო-ოიუ დაპყრობილია! იგი დაპყრობილია არა „ღმერთა წყალობით“, არამედ ადამიანთა თავგანწირულობითა და მამაცობით, იმ დიდი, ადამიანური მეგობრობის წყალობით, რომელიც ლაშქრობის დროს დამყარდა ავსტრიელებსა და შერპებს შორის.

წიგნი მეტად საინტერესოდ იკითხება და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.



ძველი ჩიკაგო საკმაოდ დიდ როლს თამაშობს თანამედროვე სპორტულ ცხოვრებაში. მისი ერთ-ერთი კვარტალის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული მოყვარულთა სპორტის დღევანდელი დღე, მისი საქმენი და პერსპექტივები. საქმე იმაშია, რომ აქ, ნორტ ლა საალის ქუჩაზე ცხოვრობს საკმაოდ სახელგანთქმული მილიონერი, „სახტუმროების მეფე“ ეივერი ბრენდეჯი — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

ბევრი რამ არის დამოკიდებული პრეზიდენტის გუნებაზე. კარგად მიდის მისი ფინანსური საქმეები, საუცხოო გუნებაზეა და უხვად აფრქვევს მოწყალებას, მაგრამ საკმარისია უხასიათოდ გაატაროს პრეზიდენტმა თუნდაც ერთი ღამე—რომ ბოროტი სულები ეუფლება, მრისხანებს და რაც მთავარია, თავი ბნელი აზრებით ევსება.

ცუდ გუნებაზე გაიღვიძა პრეზიდენტმა ერთ დღეს. მრისხანე, ცეცხლოვანი თვალები მოავლო მან თავის აპარტამენტებს და გადაწყვიტა უკვე საკმაოდ ცოდვილი სამყაროს დასჯა: „ამიერიდან ვკრძალავ ოლიმპიურ ჩემპიონთა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში“.

ვერავინ მიხვდა ხუმრობდა პრეზიდენტი თუ არა. როგორ შეიძლება წინა ოლიმპიადის გმირს აუკრძალო მომავალ ოლიმპიადაში თავისი ტიტულის დაცვა? ან როგორ გინდა წარუდგინო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიას ასეთი უაზრო პროექტი? პრეზიდენტს მოკრძალებით შეეკამათნენ, მაგრამ ამაოდ. ეივერი ბრენდეჯს სურს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს პროფესიონალიზმს.

— დიდი ხანია ვეძებთ სამოყვარულო სპორტის დაცვის გზებს.— ხმამაღლა განაცხადა პრეზიდენტმა.— და აი, მივაგენით კიდეც.

სხვადასხვა ქვეყნების სპორტულ წრეებში ბრენდეჯის განცხადებას ირონიული ღიმილით შეხვდნენ. „ბრენდეჯს სასაცილოდ აიგდებენ ათენში ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე“. — ამბობდნენ ერთნი. „ბრენდეჯს შერცხვება ასეთი უაზრო წინადადების წამოყენება სესიაზე!“— ამბობდნენ მეორენი. სხვები პრეზიდენტის გადაწყვეტილებაში ხედავდნენ პროფესიონალიზმთან ფარულ კავშირს. საქმე იმაშია, რომ ასეთი აზრი მას პირველს არ მოსვლია თავში. კარგა ხნით ადრე იგივეს იმეორებდა ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა მთავარი მწვრთნელი ლარი სნაიდერი.

მაინც რაში მდგომარეობს ამ პარადოქსული იდეის აზრი, ვის წინააღმდეგაა იგი მიმართული? პრეზიდენტი ცდილობს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენოს იმ ქვეყნებს, რომელთა წარმომადგენლებმაც მოიპოვეს მედლების უმრავლესობა უკანასკნელი წლების ოლიმპიურ თამაშებში. ბრენდეჯის წინადადება მიმართულია იმ გამოჩენილი სპორტსმენების წინააღმდეგ, რომლებმაც წვრთნის მეცნიერულ სისტემებზე დაყრდნობით გამოიმუშავეს ხანგრძლივი სპორტული ფორმა. უფრო კონკრეტულად იგი ცდილობს შეუკვეცოს სამოქმედო ასპარეზი სახელგანთქმულ საბჭოთა სპორტსმენებს და სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლებს.

მაგრამ იმით, რომ ამერიკელი სპორტსმენებიც დაისჯებიან, უნებლიედ იფიქრებს მკითხველი. თავისი ქვეყნის სპორტსმენებისათვის ბრენდეჯი სხვებზე ნაკლებად არ ფიქრობს. მათთვის ოლიმპიური თამაშებში იქნება საშუალედო პლაცდარმი სამოყვარულო და პროფესიონალურ სპორტს შორის. ბურჟუაზიული ქვეყნების წარმომადგენლები იბრძოლებენ ოლიმპიურ თამაშებში იმისათვის, რომ მოიპოვონ მედლები, რომელთა ბრჭყვიალის ფონზე არხეინად გადაინაცვლებენ პროფესიონალებში. როგორც ხედავთ ერთი შეხედვით უაზრო იდეას საკმაოდ გაანგარიშებული ზურგი ჰქონია.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კანცლერმა (გენერალურმა მდივანმა) ოტო მაიერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ეს წინადადება „არაოფიციალურად“ წამოაყენა და მას, ოტო მეიერს, არასოდეს სერიოზულად არ მიუღია იგი. უფრო მეტიც, ეს წინადადება შეტანილიც კი არ არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათენის სესიის დღის წესრიგში.

**ნ. გარიშვილი**

## უცხოეთის საფეხბურთო მოედნებზე

### იტალია

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატები თავისებურ კალეიდოსკოპს წარმოადგენს. ყოველ წელს ხდება აათასგვარი სიურპრიზები, მოულოდნელობანი, როგორც იტყვიან: „წინანი უკან და უკანანი წინაო“.

აპენინის ნახევარკუნძულზე რამდენიმე უძლიერესი გუნდია—„ინტერნაციონალე“, „მილანი“, „იუვენტუსი“, „ფიორენტინა“, „ბოლონია“, „ნეაპოლი“ და სხვანი. ბრძოლა მათს შორის ყოველთვის დაძაბულ ხასიათს ატარებს, მაგრამ მოულოდნელობანი და სიახლენი ძირითადად იწყება მაშინ, როცა რომელიმე განთქმული „ვარსკვლავი“ გადაინაცვლებს ერთი გუნდიდან მეორეში და ამით საგრძნობ გავლენას მოახდენს ძალთა საერთო შეფარდებაზე.

აი მაგალითად, საკმარისი გახდა „რომას“ ეყიდა ორი ბრწყინვალე ფეხბურთელი — სკიაფინო და ლოიაკონი და გუნდის საქმეებიც მაშინვე გამოკეთდა. „რომამ“ ზედიზედ მოიგო მატჩები, საუკეთესოდ ითამაშა როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე და ახლა მას ამდენივე ქულა აქვს, რამდენიც „ინტერნაციონალეს“ — 18. რომაელები მხოლოდ ბურთების შეფარდებით ჩამორჩებიან თავიანთ მთავარ მეტოქეს. მესამე ადგილზეა „მილანი“.

### ინგლისი

წელიწადის ამ დროს ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში ჩვეულებრივ დგება ხოლმე ყველაზე უფრო მწვავე და დაძაბული პერიოდი. ბრძოლა, როგორც წესი, განსაკუთრებით მძაფრდება პირველი ლიგის ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მხარეს: როგორც ლიდერთა შორის პირველი ადგილებისათვის, ისე აუტსაიდერებში სადაც თვითეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი კლასის ლიგაში დარჩენისათვის.

წელს მდგომარეობა შეიცვალა: მართალია, აუტსაიდერები კვლავინდებურად გაафთრებით იბრძვიან ყოველი ქულისათვის, მაგრამ პირველი ადგილის რეალური პრეტენზია აქვს — ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“.

კარგა ხანია ინგლისის ეროვნულ ჩემპიონატს არა ჰყოლია ასეთი ერთპიროვნული ლიდერი. „ტოტენჰემმა“ ე. წ. საახალწლო ტურში დაამარცხა „ბლეკბორნ როვერსი“ (5:2) და მიაღწია არნახულ განსხვავებას მეორე ადგილზე მყოფ „ვულვერჰემპტონ უონდერერსთან“ — 10 ქულას. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ უკვე გარანტირებული აქვს პირველი ადგილი ინგლისის ჩემპონატში.

### საფრანგეთი

„ჟიუსტ ფონტენი კვლავ ტრავმირებულია!“.

ამ ცნობამ ელვისებური სისწრაფით მოიარა საფრანგეთის გაზეთები და დიდი მწუხარება გამოიწვია „რეიმსის“ გულშემატკივართა შორის. მართლაც, დასანანია. მსოფლიოს VI ჩემპიონატის საუკეთესო „ბომბარდირს“ რაღაც საოცარი უიღბლობა დაჰყვა თან. საკმარისია ჟ. ფონტენმა ოდნავ მოიკეთოს, ჩადგეს ფორმაში და სულ მცირე ხანში ახალი ტრავმა კვლავ საკაცეს აკრავს ამ შესანიშნავ ფეხბურთელს. სულ ახლახან „რეიმსს“ მატჩი ჰქონდა გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერ „ლიმოჟთან“ და ჟ. ფონტენმა ისევ იტკინა ფეხი, ეს დიდი დანაკლისია გუნდისათვის.

საფრანგეთის ჩემპიონატში სადღეისოდ დაწინაურდა სამი გუნდი. მათგან წინაა პარიზის „რესინგი“, რომელსაც 33 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა „მონაკო“ — 32 ქულა (ეს გუნდი ფაქტიურად ფრანგული არაა და მონაკოს სამთავროს წარმოადგენს საფრანგეთის ჩემპიონატში). „რეიმსი“ 30 ქულით მესამე ადგილზეა.

### თურქეთი

ამ ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატი ჩვეულებრივ წარმოადგენს სამი გუნდის ბრძოლას პირველი ადგილისათვის. ესენია: „გალატასარაი“, „ფერენბახჩე“ და „ბეშიქთაში“. ახლა მათს რიგებს შემატა ქ. ბირლიგის გუნდიც, რომელიც დიდი მონდომებით ატარებს მატჩებს.

ბოლო ტურში „გალატასარაიმ“ სასტიკად დაამარცხა თავისი ძველი მეტოქე „ფენერბახჩე“ — 5:0, მაგრამ სრულიად მოულოდნელად თვითაც განიცადა მარცხი ერთ-ერთ ბოლო ადგილებზე მყოფ „ანკარა გიუჯიუსაგან“ — 0:1.

პირველ სამ ადგილზე ამჟამად იმყოფებიან: „გალატასარაი“ — 27 ქულა, „ფენერბახჩე“ — 26 ქულა, „ბირლიგი“ — 26 ქულა.



ინტენსიურ წვრთნას განაგრძობს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.

სურათზე: ფეხბურთელები ბურთით ვარჯიშამდე დარბიან დილმის საწვრთნელი ბაზის გარშემო.

რედაქტორი ი. უგულავა.



16-17 იანვარი

**ქართული ჭიდაობა**

**რესპუბლიკის ფალავნის სახელის მოსაპოვებლად**

16 იანვარს ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზში დასაწყისი 19 საათზე, 17 იანვარს სახელმწიფო ცირკის შენობაში, დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05206